NEW
NETWORKS LLC

Digitally signed by
NEW NETWORKS LLC
Date: 2020.12.24
12:42:26 +04'00'

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №2

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო წლის 2020 23 დეკემბერი ქ. თბილისი

შემსყიდველი: აფხაზეთის ა/რ აფხაზეთის
ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით
გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტრო
მისი მინისტრი კონსტანტინე კუჭუხიძე
იურიდმისამართი:ფაქტ. მისამართი: ქ. თბილისი**,** ვაჟა ფშაველას გამზ.**16**
ფაქტ. მისამართი: ქ. ქუთაისი ირ. აბაშიძის ქ.27
საბანკო რეკვიზიტები:
ხაზინის ერთიანი ანგარიში
TRESGE22
ს/კ 249259582

მიმწოდებელი: **შპს „ახალი ქსელები“**

- მისამართი, ტელეფონი: ქუთაისი ბარათაშვილის 74 431241522
- დირექტორი: ნანა შარაშენიძე

საბანკო რეკვიზიტები: **სს „თიბისი“ ბანკის ქუთაისის ფილიალი კოდი TBCBGE22,**

ა/ა GE74TB7741136070100001, ს/კ 211 326 732

ერთის მხრივ - **შემსყიდველი**, და მეორეს მხრივ - **მიმწოდებელი**, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე;

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია აფხაზეთის ა/რ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტროს იმერეთის, გურიის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სავანეთის რეგიონებსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლის ტერიტორიული ორგანოს სატელეფონო მომსახურების შესყიდვა ნომერზე (3 ტელეფონის ნომერზე 431274962 431276513 და 431279018), წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამარტივებული პირობების შესაბამისად.

2. შესყიდვების ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია CPV-64200000 სატელეფონო მომსახურება, დანართ №1- ში მითითებულ ტარიფებით.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვების ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში
3.2 შესყიდვის საერთო ღირებულება შეადგენს სავარაუდოდ 110(ას ათი) ლარს
3.3 მომსახურება განხორციელდება ხელშეკრულების დანართ 1-ით განსაზღვრული ტარიფებით.

4. შესყიდვების ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს მაღალი ხარისხის სატელეფონო კავშირი
4.2 ხარისხიანად და დროულად უზრუნველყოს ამ ხელშეკრულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოები.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება **2021 წლის 01 იანვრიდან 2021წლის 31**

დეკემბრის ჩათვლით.
5.2 შესყიდვის ობიექტის ადგილია: ქ. ქუთაისი ირ. აბაშიძის ქ.27

5.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა)

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი, (ვადები) და ადგილი

6.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ან ნაღდი ანგარიშსწორების ფორმით
6.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულებია ანაზღაურება მოხდება ლარებში
6.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 საბანკო დღის ვადაში.
6.4 ანაზღაურების ადგილია .

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
7.1 მხარეთა უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციით, სამოქალაქო კანონმდებლობით, „მეწარმეთა შესახებ“, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებით და სხვა მოქმედი საკანონმდებლო თუ კანონმდებარე ნორმატიული აქტებით, რომელიც არეგულირებს ურთიერთობას ოპერატორსა და მომხმარებელს შორის.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
- დროულად და სრულად გადაიხადოს მომსახურების გადასახადი;
- დაუბლოკავად დაუშვას ოპერატორის წარმომადგენელი ტექნიკური მოწყობილობის განთავსების ადგილზე.

7.3 სატელეფონო მომსახურების გადასახადის გადახდა სავალდებულოა მომდევნო თვის 25 რიცხვამდე. თუ აღნიშნულ ვადაში შემსყიდველი არ დაფარავს დავალიანებას - ის გაფრთხილებული იქნება მომსახურების მიმწოდებლის მიერ, ავტომოპასუხის მეშვეობით, მომსახურების 25 რიცხვში ცალმხრივად (გამავალი) შეზღუდვის შესახებ. შემსყიდველს შეუძლია გაიგოს მის ტელეფონზე რიცხული დავალიანების ოდენობის შესახებ მიმწოდებლის საინფორმაციო სამსახურში ტელ: 11 00 00. მომდევნო 30 დღის განმავლობაში მომსახურების აღდგენისათვის დარიცხულ დავალიანებასთან ერთად შემსყიდველმა უნდა გადაიხადოს აღდგენის საფასური 1 (ერთი) ლარის ოდენობით.
7.4 იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველის მიერ დავალიანება არ დაიფარება 60 დღის განმავლობაში, მომსახურება შეეზღუდება ორმხრივად და მომდევნო 30 დღის განმავლობაში მომსახურების აღდგენისათვის დარიცხულ დავალიანებასთან ერთად შემსყიდველმა უნდა გადაიხადოს მომსახურების აღდგენის საფასური 5 (ხუთი) ლარის ოდენობით.
7.5 თუ შემსყიდველმა ამ ვადაშიც არ დაფარა დავალიანება, ტელეფონი იხსნება და კიდევ ერთი თვე ენახება ტელეფონის დადგმის ტექნიკური საშუალება, ხელახალი დადგმა მოხდება დავალიანების და მიმწოდებლის მიერ დაწესებული ტელეფონის აღდგენის 5 (ხუთი) ლარის გადახდის შემდეგ. აღნიშნულ ვადაში დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, წინამდებარე ხელშეკრულება უქმდება, ტექნიკური საშუალება ნაწილდება დადგენილი წესის მიხედვით, ხოლო დავალიანების ამოღება ხორციელდება სასამართლოს მეშვეობით.
7.6. შემსყიდველს უფლება აქვს:
- მოითხოვოს ინფორმაცია მომსახურების შესახებ;
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებიდან.

7.7. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
- შეუზღუდოს შემსყიდველს მომსახურების გაწევა, თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით დადგენილი ანგარიიშსწორების ვადა იქნება დარღვეული.

7.8. მიმწოდებელი ვალდებულია:
- არ გასცეს შემსყიდველის პერსონალური ინფორმაცის თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში - სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე;
- მოახდინოს გაწეული მომსახურების დეტალური ინფორმაციული უზრუნველყოფა;
- ოპერატიულად განიხილოს შემსყიდველის პრეტენზია და გასცეს მოტივირებული პასუხი ნებისმიერ სადაო საკითხზე;
- მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების გაფორმებისთანავე;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. **სხვა პირობები:**

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის **2021წლის 1 იანვრიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით**.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ყოველი კალენდარული თვის დამთავრებამდე ერთი კვირით ადრე არ შეატყობინებს მიმწოდებელს მომდევნო თვიდან ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, მისი მოქმედების ვადა ავტომატურად გაგრძელდება კიდევ ერთი თვით.
8.3 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. 30 დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში სადაო საკითხს განიხილავს სასამართალო.
8.4 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
8.5 ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში რაზედაც მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს 30 დღით ადრე.
8.6 ხელშეკრულების საერთო პირობები, მათ შორის ფორს–მაჟორისა და ინსპექტირების პირობები, მიიღება სახელმწიფო შესყიდვების სფეროში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.7 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და მათ გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა.

9. **ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა**

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ტარიფების შეცვლა დასაშვებია, რის შესახებაც მიმწოდელი შეაწყობინებს შემსყიდველს ინფორმაციის მასობრივი საშუალებების მეშვეობით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ერთი თვის განმავლობაში წერილობით არ შეატყობინებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, ხელშეკრულება გაგრძელდება ახალი პირობებით.

შემსყიდველის მხრიდან

აფხაზეთის ა/რ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტრო

მინისტრი

კ.კუჭუხიძე

მიმწოდებელის მხრიდან

შპს „ახალი ქსელების“

დირექტორი
ნანა შარაშენიძე

ministry of internally displaced persons from the Autonomous republic of Abkhazia

Подписано цифровой подписью: ministry of internally displaced persons from the Autonomous republic of Abkhazia
Дата: 2020.12.24 12:16:42 +04'00'

დანართი № 1

შპს „ახალი ქსელების“ მ ომსახურების ტარიფები

I. ძირითადი მომსახურების ტარიფები

1. ტელეფონის დადგმა - 30 ლარი;
2. ტელეფონის სერიულად მოწყობა - 50 ლარი;
3. ტელეფონის მომსახურების ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი - 2,0 ლარი;
4. ადგილობრივი სატელეფონო საუბრები:

- შიდა ქსელში („ახალი ქსელები, ახტელი) - 300 წუთი უფასო ლიმიტი

(300 წუთის ამოწურვის შემდეგ 1წუთის ღირებულებაა დღე -2 თეთრი 08:00 -24:00 სთ ;
ღამე - 1 თეთრი 24:00 - 08:00სთ)

- სხვა ოპერატორის ქსელში 1 წუთის გადასახადი 4 თეთრი
- სხვა უსადენო ქსელში 1 წუთის გადასახადი - 5 თეთრი

5. საქალაქთაშორისო საუბრების ერთი წუთის გადასახადი 6 თეთრი;
6. მობილური ტელეფონის მიმართულებით საუბრის ერთი წუთის საფასური 28 თეთრი
7. ტელეფონის ნომრის შეცვლა (აბონენტის თხოვნით) 10 ლარი;

„ახალი ქსელების“ და „ახტელის“ ასს-ის ინდექსები (შიდა ქსელი)

თბილისი_ 213, 2186***-2189***, 2190***- 2191***, 221, 2245***- 2249***, 227, 232, 233, 2455***- 2459***, 252, 253, 254, 257, 258, 259, 265, 269, 270, 275, 276, 277, 279.

ქუთაისი _ 211***-2135*** 2138***-214***, 22, 24, 27, 29

ზესტაფონი – 24****

ფოთი – 24****

შპს „ახალი ქსელების“ დირექტორი

ნ. შარაშენიძე